ხელშეკრულება № GHI/0205/13

31

30 აპრილი, 2013 წ

ქ. თბილისი,

ერთის მხრივ, **სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"** (შემდგომში "მზღვეველი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის, ბატონი გიორგი ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის ადმინისტრაცია, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში** (შემდგომში "დამზღვევი") წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის პირველი მოადგილის თენგიზ გოგიაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. განსაზღვრებანი

წინამდებარე განსაზღვრებანი ინარჩუნებს მითითებულ მნიშვნელობას წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ნაწილში, ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში მითითებულ ტერმინთა განსაზღვრებანიც, ასევე, ინარჩუნებენ შესაბამის დანართში მითითებულ მნიშვნელობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართების ნებისმიერ ნაწილში:

1.1. **დამზღვევი** – პირი, რომელიც აფორმებს წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველთან;
1.2. **დაზღვეული (იგივე საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელი)** – დამზღვევის მიერ წარმოდგენილ წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში მითითებული პირები, რომლებიც იმყოფებიან დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში, რომელთა სასარგებლოდაც ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა;
1.3. **საიდენტიფიკაციო ბარათი (შემდგომში ბარათი)** – ბარათი, რომელსაც ფლობს დაზღვეული მის სასარგებლოდ ამ ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დასტურად;
1.4. **სამედიცინო დაწესებულება** – საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედიდაწესებულება, რომელსაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მინიჭებული აქვს სამედიცინო საქმიაანობის განხორციელების უფლება;
1.5. **მოსარგებლე** – დაზღვეული ან პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
1.6. **სადაზღვევო შემთხვევა** – წინამდებარე ხელშეკრულებით (და მისი დანართების პირობებით) განსაზღვრული შემთხვევები, რომლთა დადგომისას წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
1.7. **უბედური შემთხვევა** – გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას, მისი სხეულის დაზიანებას ან შრომისუუნარობას;
1.8. **საერთო სადაზღვევო პერიოდი** – წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული დროის შუალედი, რომლის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაშია;
1.9. **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი** – დროის შუალედი, რომლის განმავლობაში კონკრეტული დაზღვეულის მიმართ სადაზღვევო დაფარვა ძალაშია;
1.10. **ანაზღაურების ლიმიტი** – წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ბარათში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემული ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს კონკრეტული სადაზღვევო დაფარვისთვის;
1.11. **დაზღვევის პირობები** – წინამდებარე ხელშეკრულებაში და მის დანართებში მითითებული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს სადაზღვევო დაფარვის შინაარსს და მისი განხორციელების წესებს;
1.12. **ტერიტორიული ლიმიტი (სადაზღვევო დაფარვის არეალი)** – საქართველოს ტერიტორია ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვებისთვის, ხოლო მსოფლიო – სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევისთვის;
1.13. **სადაზღვევო შესატანი (პრემია)** – დამზღვევის მიერ გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით და რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ გასაწევი სადაზღვევო მომსახურების საფასურს;
1.14. **ასაკობრივი შეზღუდვა** – დაზღვევას ექვემდებარებიან მხოლოდ დამზღვევის თანამშრომლები ასაკის შეუზღუდავად;
1.15. **პროვაიდერი** – მზღვეველთან სახელშეკრულებო ურთეირთობაში მყოფი კონკრეტული სამედიცინო დაწესებულება და/ან ექიმი (ვიწრო პროფილის ექიმი-სპეციალისტი), რომელიც მზღვეველთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოფს დაზღვეულისთვის სამედიცინო ჩვენების მიხედვით სადაზღვევო ხელშეკრულებით და ბარათით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურებას. პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეული ადგილზე იხდის მხოლოდ

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი: _____ **დამზღვევი:** _____

თანაგადახდის წილს, დანარჩენი თანხის ანგარიშსწორება ხდება პირდაპირ პროვაიდერთან მზღვეველის მიერ;

1.16. ინდივიდუალური გამომუშავებული პრემია - საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის კონკრეტული დაზღვეულის გამომუშავებული პრემია წარმოადგენს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი დასრულებულია კონკრეტული თარიღისათვის - მისი მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის შესაბამის ჯამურ პრემიას,

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი არ არის დასრულებული კონკრეტული თარიღისათვის - მისი მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი ჯამური პრემიის იმ ნაწილს, რა ნაწილსაც შეადგენს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ზემოთაღნიშნულ კონკრეტულ თარიღამდე გასული დღეების რაოდენობა მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის დღეებში გაზომილ ხანგრძლივობასთან მიმართებაში;

1.17. ინდივიდუალური გამოუმუშავებელი პრემია - საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის კონკრეტული დაზღვეულის გამოუმუშავებელი პრემია წარმოადგენს სხვაობას მისი მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის შესაბამის ჯამურ პრემიასა და ინდივიდუალურ გამომუშავებულ პრემიას შორის;

1.18. საერთო გამომუშავებული პრემია – საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამის გამომუშავებულ პრემიას შეადგენს ინდივიდუალური გამომუშავებული პრემიების ჯამი;

1.19. საერთო გამოუმუშავებელი პრემია – საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამის გამოუმუშავებელ პრემიას შეადგენს ინდივიდუალური გამოუმუშავებელი პრემიების ჯამი;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშვება მზღვეველს, დამზღვევსა და დაზღვეულებს შორის ამ ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მზღვეველი ვალდებულია, დამზღვევთან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ, უზრუნველყოს დაზღვეულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების და სიცოცხლის/უბედური შემთხვევის დაზღვევის შემთხვევაში, ფიქსირებული თანხის ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;

2.3. დაზღვევის შესახებ განაცხადი, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ყველა დანართი და ბარათი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მზღვეველი ვალდებულია:

3.1.1. განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობების შესაბამისად;

3.1.2. გადასცეს დამზღვევს ბარათი/ები თითოეული დაზღვეულისათვის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

3.1.3. დროულად და სრულად გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

3.1.4. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

3.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

3.2.1. მოთხოვოს დამზღვევს (დაზღვეულს) წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და განუხრელი შესრულება;

3.2.2. მოთხოვოს დამზღვევს, გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;

3.2.3. მოთხოვოს დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენა მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, შესაბამისი განაცხადის შევსების გზით;

მზღვეველი: _____ **დამზღვევი:** _____

მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე შეტყობინების განხორციელების შემდეგ მზღვეველს უნდა მიეწოდოს უბედური შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი დოკუმენტი უბედური შემთხვევის გარემოებებისა და შედეგების ამსახველი დეტალების მითითებით. გარდა უბედური შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტისა, მზღვეველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს დაზღვეულს /მოსარგებლეს/ დამატებითი დოკუმენტაცია, დაკავშირებული დამდგარ შემთხვევასთან. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) თვის თავზე, მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის აღიარების მიზნით, მზღვეველს უნდა წარედგინოს სრული მუდმივი შრომისუუნარობის დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის დასკვნა. მზღვეველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს დამზღვევს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა და ჩაატაროს შესაბამისი დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

ანაზღაურება გაიცემა ზემოხსენებული დოკუმენტებისა და წინამდებრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტების მზღვეველის მიერ მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

5.16. სადაზღვევო თანხის/ლიმიტის ა.შ.შ. დოლარში დაფიქსირების შემთხვევაში, ლიმიტის დაანგარიშება მოხდება ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედება (საერთო სადაზღვევო პერიოდი)

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 01 მაისის 00 საათიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის 24 საათამდე.

მუხლი 7. დაზღვევის პირობების ცვლილებების წესი

7.1. დამზღვევის სურვილით შესაძლებელია, შეიცვალოს დაზღვეულთა რაოდენობა:

ა) დაზღვეულთა რაოდენობის გაზრდისას დამზღვევი აწოდებს მზღვეველს დაზღვეულთა შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა საჭირო მონაცემს და იხდის შესაბამის პრემიას, გადაანგარიშებულს დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე შემდეგი წესით: თუ დაზღვეულის დამატება მოხდება

1. ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის) ძალაში შესვლიდან პირველი 4 თვის განმავლობაში, დაზღვეულს საშუალება ექნება, ისარგებლოს ბარათით განსაზღვრული სრული სადაზღვევო ლიმიტებით;
2. ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის) ძალაში შესვლიდან ოთხი თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს შვიდი თვისა, დაზღვეულს საშუალება ექნება, ისარგებლოს ბარათით განსაზღვრული სრული სადაზღვევო ლიმიტების 70%-ით;
3. ხელშეკრულების მოქმედების უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, დაზღვეულს საშუალება ექნება, ისარგებლოს ბარათით განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტების 40%-ით;

ბ) თუ ხორციელდება კონკრეტული დაზღვეულის ამოღება დაზღვეულთა სიიდან, დამზღვევი ვალდებულია, შეატყობინოს თავისი სურვილის შესახებ მზღვეველს არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე სიიდან ამოღებამდე;

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებისათვის მხარეთა შორის ფორმდება ასეთი ცვლილების ამსახველი წინამდებარე ხელშეკრულების დანართი, რომელიც იქცევა ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაზღვეულთა რაოდენობის შემცირების გამო ხელშეკრულებით გადასახდელი ჯამური სადაზღვევო პრემიის ოდენობა 30%-ით ან მეტით მცირდება, მზღვეველი უფლებამოსილია, გადახედოს ხელშეკრულების პირობებს და დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის გაზარდოს დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა, ხოლო თუ დამზღვევი მზღვეველის შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში წერილობით არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, მზღვეველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი: _____

დამზღვევი: _____

მუხლი 8. ხელშეკრულების/დაზღვევის შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება (საერთო სადაზღვევო პერიოდი) წყდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოქმედების ვადის ბოლო დღის 24 საათზე; ხოლო ინდივიდუალური დაზღვევისა კი - ბარათით განსაზღვრული ვადის ბოლო დღის 24 საათზე, თუ იგი ვადაზე ადრე არ იქნა შეწყვეტილი მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს, ასევე:

ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება ანუ შესაბამისი პასუხისმგებლობის/ანაზღაურების ლიმიტის სრული ამოწურვა;

ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

8.3. დაზღვევის ხელშეკრულებაზე დამზღვევის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე უარის გაცხადების შემთხვევაში, მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის გადახდის საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: თუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო ურთიერთობის შეწყვეტის სურვილი განპირობებულია დოკუმენტურად დადასტურებული პატივსადები მიზეზებით ანუ მოტივირებულია (რისი შეფასებაც ხორციელდება ყოველი ცალკეული შემთხვევის მიხედვით) დამზღვევს უბრუნდება საერთო გამოუმუშავებელი პრემიის გადახდილი ნაწილი. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საერთო გამომუშავებული სადაზღვევო პრემია დამზღვევის მიერ გადახდას ექვემდებარება ნებისმიერ შემთხვევაში. ხოლო ზემოხსენებული პატივსადები მიზეზების არარსებობისას კი, დამზღვევს წარმოეშობა დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ერთიანად დაფარვის მოვალეობა, ხოლო თუ ასეთი პრემია უკვე გადახდილია, იგი არ ექვემდებარება დამზღვევისათვის დაბრუნებას.

მუხლი 9. დავა, ზიანის ანაზღაურება

9.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი – საქართველოს შესაბამისი სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. მხარეებს უფლება აქვთ უთანხმოების მოგვარების მიზნით მიმართონ "სადაზღვევო გზამკვლევს" სატელეფონო ცხელი ხაზის ნომერზე: 2 555 155 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: gzamkvlevi@insurance.org.ge. ხოლო "სადაზღვვეო გზამკვლევის" მეშვეობით შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს 9.1. პუნქტის მიხედვით.

9.3. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით – ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (ზარალის, მიუღებელი სარგებლისა და მორალური ზიანის ჩათვლით) – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო ფორს-მაჟორული გარემოებების (სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული ნორმატიული თუ სხვა სახის აქტები, ასევე, სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელი გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება) დადგომა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდება ფორს-მაჟორული გარემოების დამთავრებამდე.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს კომპეტენტურმა ორგანომ.

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი: _____

დამზღვევი: _____

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, რის შემდეგაც ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი მუხლის/პუნქტის გარეშეც.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაიგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მიღებულად.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს, მეორე კი – მზღვეველს.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი, დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადი და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ყველა ბარათი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ისინი განიხილებიან ერთიან მთლიანობაში;

11.6. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის №06/5-51, საიდენტ. №204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

11.7. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მზღვეველი	დამზღვევი
სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"	სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის ადმინისტრაცია, გორის, კასპის, ქარელისა დახაშურის მუნიციპალიტეტებში
ფაქტობრივი მის.: საქართველო, თბილისი, პუშკინის ქ. №3; იურიდიული მის.: საქართველო, თბილისი პუშკინის ქ. №3; მომსახურე ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი ანგარიშის ნომერი: **GE65BG0000000114845506** ბანკის კოდი: **BAGAGE22** საიდენტიფიკაციო კოდი: 204919008 ტელ.: (995 322) 444808; ფაქსი: (995 322) 294905;	ფაქტობრივი მის.: საქართველო, ქ. გორი, სტალინის გამზ. №16; იურიდიული მის.: საქართველო, ქ. გორი, სტალინის გამზ. №16; საქართველოს სახელმწიფო ხაზინა ანგ. №200122900 კოდი № 220101107 საიდენტიფიკაციო კოდი: 217889514
გ. ბარათაშვილი _____ გენერალური დირექტორის მოადგილე	თენგიზ გოგიაშვილი _____ სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის პირველი მოადგილე

მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი: _____

დამზღვევი: _____